SILKNET

№ 2239/05-8 "12" 06 2014

სსიპ საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ ვახტანგ აბაშიძეს

გაცნობებთ, რომ სს „სილქნეტის" შეთავაზების წინადადებებში (მოწვევის ოფერტებში) შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები:

1. გაგრძელდეს სს „სილქნეტის" შეთავაზების წინადადებების (მოწვევის ოფერტების) მოქმედების ვადა 6 თვით, 2015 წლის 01 იანვრამდე, შემდეგ მომსახურებებზე:

- სს „სილქნეტის" ინტერნეტის გლობალურ ქსელთან დაშვების მომსახურებაზე;
- სს „სილქნეტის" მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემების ტერმინალურ ელემენტებთან და მათ რესურსებთან დაშვებისა და მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურებაზე;
- სს „სილქნეტის" სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების ფართოზოლოვან რესურსთან დაშვების მომსაურებაზე;
- სს „სილქნეტის" საკუთარი ფიქსირებული სადენიანი ქსელით ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურებაზე;
- სს „სილქნეტის" ელექტრონულ საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების მომსახურებაზე.

2. ზემოაღნიშნული ცვლილებები ძალაშია 2014 წლის 01 ივლისიდან.
3. გთხოვთ, აღნიშნული ცვლილებები გამოაქვეყნოთ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ–გვერდზე.

პატივისცემით,

ლევან ბუჩუკური
გენერალური დირექტორი

№ 6/3776-14
12 06 14
1

საქართველო, 0112 თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ.95
ტელ: + 995 32 2 10 00 00;
ფაქსი: + 995 32 2 10 00 01
www.silknet.com

95 Tsinamdzgvrishvili Street, 0112 Tbilisi, Georgia
Tel: + 995 32 2 10 00 00
Fax: + 995 32 2 10 00 01
www.silknet.com